

2019 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შპს „ორბი“

შინაარსი:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
საქმიანობის შედეგები
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია
2. მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის განხილვა
3. ძირითადი საშუალებები
4. არამატერიალური აქტივები
5. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები
6. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები
7. მოგების გადასახადი
8. საანგარიშგები პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები
9. ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაცია

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018
ფული და ფულის ექვივალენტი	(6)	102 908	39 361
სავაჭრო მოთხოვნები		468 607	469 687
მარაგები			
მზა პროდუქცია			
სხვა			
საინვესტიციო ქონება		-	-
სხვა მიმდინარე აქტივი		89 093	40 836
ბიოლოგიური აქტივები		0	0
თვითღირებულების მოდელით		-	-
გადაფასების მოდელით		-	-
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივი	(4)	9418	11 080
ძირითადი საშუალებები	(3)	1 364 931	1 063 654
სხვა გრძელვადიანი აქტივი			
სულ აქტივები		2 034 957	1 624 618
ვალდებულებები	(7)		
ფინანსური იჯარის ვალდებულება		-	-
სავაჭრო ვალდებულებები		8 981	19 438
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები		-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		180 549	186 045
საგადასახადო ვალდებულებები		317	58 201
გამომუშავებული შემოსავალი		-	
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		88 528	
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები			
სხვა ვალდებულებები		-	
სულ ვალდებულებები		278 375	263 684
საკუთარი კაპიტალი	(8)		
სააქციო კაპიტალი(შ.პ.ს -ს შემთხვევაში 'კაპიტალი' კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')		100	100
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		1 756 482	1 360 834
გადაფასების რეზერვი			
სხვა რეზერვები		-	-
საკუთარი კაპიტალი		1 756 582	1 360 934
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2 034 957	1 624 618

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და
ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მხრიდან 2020 წლის 30 სექტემბერს.

..... ზ. კვირიკაშვილი

შპს „ორბი“-ს დირექტორი

შპს „ორბი“
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნა	31.12.2019	31.12.2018
ფული და ფულის ექვივალენტი	(6)	102 908	39 361
საფაქრო მოთხოვნები		468 607	469 687
შარავები			
შპს პროდუქცია			
სხვა			
ხაზინატივიო ქონება		-	-
სხვა მიმდინარე აქტივი		89 093	40 836
მიმდინარე აქტივები		0	0
თვითდასრულების მოდელი		-	-
გადასესხის მოდელი		-	-
გუდვილი			
სხვა არამატერიალური აქტივი	(4)	9418	11 080
ძირითადი საშუალებები	(3)	1 364 921	1 063 654
სხვა გრძელვადიანი აქტივი			
სულ აქტივები		2 034 957	1 624 618
ვალდებულებები	(7)		
ფინანსური იჯარის ვალდებულება		-	-
საფაქრო ვალდებულებები		8 981	19 438
ვალდებულების და ხარჯების ანარიტები		-	-
ვალდებულებები დაანაწილებული მიმართ		180 549	186 045
საგადასახადო ვალდებულებები		317	58 201
გამომწვევებული შემოსავალი		-	-
მიმდინარე სასესიო ვალდებულებები		88 528	-
გრძელვადიანი სასესიო ვალდებულებები		-	-
სხვა ვალდებულებები		278 375	263 684
სულ ვალდებულებები		278 375	263 684
საკუთარი კაპიტალი	(8)		
სააქციო კაპიტალი (შპს -ს)		100	100
შემოსულებაში კაპიტალი კომპერატივის შემთხვევაში 'სამაიო კაპიტალი'			
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		1 756 482	1 360 534
გადადასესხის რეზერვი		-	-
სხვა რეზერვები		-	-
საკუთარი კაპიტალი		1 756 582	1 360 634
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2 034 957	1 624 618

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 30 სექტემბერს.

.....
შპს „ორბი“-ს დირექტორი

შპს „ორბი“-ს დირექტორი

შპს „ორბი“-ს დირექტორი

საქმიანობის შედეგები

	2019
ნეტო ამონაგები	4 285 239
საქონლის გაყიდვიდან	
მომსახურების გაწვიდან	4 285 239
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	
სხვა	
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	
საწყისი მარაგები	
მარაგების შესყიდვა	
გადამუშავების დანახარჯები	
საბოლოო მარაგები	
საერთო მოგება	4 285 239
სხვა შემოსავალი	
დასაქმებულთა ანაზღაურება	-2 876 844
ცვეთა და ამორტიზაცია	-342 895
საპროცენტო შემოსავალი:	
საპროცენტო ხარჯი :	-7 498
იჯარის ხარჯი	-29 075
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-171 177
სულ საოპერაციო ხარჯები	-3 427 489
საოპერაციო მოგება	857 750
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:	-
ფინანსური აქტივები	-
მარაგები	-
სხვა არაფინანსური აქტივები	-
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:	-
მიღებული დივიდენდები	-
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	-
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	857 750
მოგების გადასახადი	-72 628
მოგება/(ზარალი)	785 122
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):	-
მირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	-
სხვა	-
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	-
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	785 122
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	1 360 934
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში...)	-
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-389 474
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	
კაპიტალის სხვა ცვლილებები	
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1 756 582

ფულადი სახსრების მოძრაობა

	2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	706 057
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-642 510
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	63 547
სავალუტო კურსის ეფექტი	-
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	39 361
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	102 908

ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ორბი (ს/კ 202455066), ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ.198. მესაკუთრე და 100% წილის მმართველი ზურაბ კვირიკაშვილი (პ/შ56001003178)

შპს ორბი-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

- უსაფრთხოების დაცვის კერძო სამსახურების საქმიანობები

2. ანგარიშგების მომზადების საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის მიხედვით. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაბამისია კომპანიისთვის. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არ არის აღნიშნული.

2.2 მსს ფასს სტანდარტების პირველად გამოყენება.

კომპანიის მსს ფასს სტანდარტებზე გადასვლის თარიღია 2019 წლის 1 იანვარი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საერთაშორისო ბუღალტრული სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს) შესაბამისად. ადგილობრივი კანონმდებლობის შესაბამისად მსს ფასს სტანდარტებზე გადასვლამდე კომპანიას არ მოეთხოვებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადება და წარსულში არ მოუზადებია ფინანსური ანგარიშგება. მსს ფასს სტანდარტებზე გადასვლამდე კომპანია აღრიცხვას აწარმოებდა ისეთი პოლიტიკის გამოყენებით, რომელიც საგადასახადო კანონმდებლობას ემყარებოდა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოყენებული მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია ქვემოთ არის წარმოდგენილი. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულად იქნა (იქნება) გამოყენებული ყველა პერიოდის მიმართ, თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული. ფინანსური ანგარიშგების მომზადება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან მსჯელობას კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. საკითხები, რომლებშიც ასახულია ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვანი შეფასებები და დაშვებები და რომლებიც საჭიროებენ მაღალი დონის მსჯელობას და კომპლექსურ მიდგომებს.

წარდგენის ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება ლარში, დამრგვალებული ერთეულამდე, თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, მოთხოვნად დეპოზიტებს.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგების ღირებულება ეფუძნება საშუალო შეწონილი ღირებულების პრინციპს და შეიცავს მარაგების შემენის ხარჯს, შეფასებით გასაყიდი ღირებულება არისჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში სავარაუდო გასაყიდი ფასი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებულითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება კლებადი ნაშთის მეთოდით. ახალი სტანდარტის ამოქმედების შემდეგ, ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვის მეთოდი არ შეცვლილა, რადგან მსს ფასს (17.22) იძლევა აღნიშნული მეთოდის გამოყენების შესაძლებლობას. ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი საშუალებები:

- ავეჯი და სხვა ინვენტარი
- სატრანსპორტო საშუალებები

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს ცალკე შემენილ ლიცენზიებს (მათ შორის შემენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფა) და სხვა არამატერიალურ აქტივებს, არამატერიალური აქტივის ამორტიზირება ხდება კლებადი ნაშთის მეთოდით.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის უნდა ჩატარდეს ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. თუ არსებობს აქტივების შესაძლო გაუფასურების ნიშნები, მაშინ უნდა შეფასდეს ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდეს მის საბალანსო ღირებულებას. იმ შემთხვევაში, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში - პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

აღნიშნული თანხები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისათვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში ან ზარალში შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

საკუთარი კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა კომპანიის წესდებით განისაზღვრება. კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, საკუთრების უფლების ცვლილება), მხოლოდ კომპანიის მესაკუთრეების გადაწყვეტილებით ხდება.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან (მომსახურების გაწევიდან) აღიარდება მაშინ, როცა მყიდველს საქონელი (მომსახურება) მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების ოდენობით. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-ს გარეშე.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება შესაბამისი ანგარიშგებოპერიოდის დასრულებისათვის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა (მათ შორისაა კომერციული ბანკები, სადაზღვევო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და სხვა), ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

ახალი, ე.წ. „ესტონური“, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება).

დღგ

კომპანიის მიერ გაყიდვების/მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. კომპანიას შეუძლია განახორციელოს დღგ-ს ჩათვლა შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გზით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაშვებულია გადამხდელის მიერ დღგ-ის თანხის გადახდა ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლის გათვალისწინებით). შესაბამისად, კომპანიის მიერ განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საფუძველზე გადასახდელი დღგ, რომლის გადახდაც არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება (აღიარდება) ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლების გათვალისწინებით).

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები, ბიულეტენები, პრემიები და არაფულადი სარგებლები კომპანიის მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული. კომპანიას არ აქვს რაიმე სახის საპენსიო ან მსგავსი პროგრამის (მათ შორის თანამშრომლის სამსახურის შემდგომი სარგებლის სახით) იურიდიული თუ არაკონტრაქტული ვალდებულება.

არსებითობის პრინციპიდან გამომდინარე, კომპანიის მიერ არ ხდება გამოუყენებელი შვებულების ანარიცხების აღრიცხვა ფინანსურ ანგარიშგებაში (არაარსებითობის გამო).

ფინანსური ანგარიშგებების შესწორება გამოცემის შემდეგ

ნებისმიერი ცვლილების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში, მისი გამოცემის შემდეგ, დამტკიცებას ექვემდებარება კომპანიის იმავე მენეჯმენტის მიერ, რომლის მიერაც მოხდა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების ავტორიზაცია გამოცემის მიზნით.

3. ძირითადი საშუალებები

	მანქანა- დანადგარები	საოფისე და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	შენობა	სხვა აქტივები	სულ ღირებულება
საბალანსო ღირებულება: 01.01.2019		529 672	533 982			1 063 654
შემოსვლა		555 474	87 036			642 510
წლის დარიცხული ცვეთა		(217 029)	(124 204)			(341 233)
საბალანსო ღირებულება: 31.12.2019		868 117	496 814			1 364 931

კომპანია ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯის გაანგარიშებას ახორციელებს წრფივი მეთოდის მიხედვით

4. არამატერიალური აქტივები

	არამატერიალური აქტივი	სულ
საწყისი ნაშთი: 01.01.2019	11 080	11 080
წლის დარიცხული ცვეთა	(1 662)	(1 662)
საბოლოო ნაშთი: 31.12.2019	9 418	9 418

5. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

	2019 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 1 იანვარი
მიმდინარე ანგარიშები ბანკში	37 364	1 597
ნაღდი ფული	65 544	37 764
სულ ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები:	102 908	39 361

6. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2019 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 1 იანვარი
სავაჭრო ვალდებულებები	8 981	19 438
საგადასახადო ვალდებულებები	317	58 201
სხვა ვალდებულებები	269 077	186 045
სულ სავაჭრო და სხვა გადასახდელი თანხები	278 375	263 684

7. მოგების გადასახადი

კანონმდებლობის ცვლილების შესაბამისად «ესტონურ მოდელზე» გადასვლის შემდეგ, კომპანიას მოგების გადასახადის დარიცხვის და გადახდის ვალდებულება წარმოეშვა არა მოგების მიღების მომენტში, არამედ ამ მოგების განაწილების დროს.

გარემოს დაცვის საკითხები. საქართველოში გარემოს დაცვის რეგულაციების შესრულება ძალას იკრევს და სახელმწიფო ორგანოების მიერ გარემოს დაცვის მიდგომები მუდმივად გადაიხედება. კომპანია პერიოდულად აფასებს თავის ვალდებულებებს გარემოს რეგულაციების შესრულების ფარგლებში. ვალდებულების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარებაც. პოტენციური ვალდებულება, რომელიც არსებულ რეგულაციებში ცვლილებებით, სამოქალაქო დავებით ან კანონმდებლობის ცვლილებით არის გამოწვეული, წინასწარ ვერ შეფასდება, თუმცა ასეთი ცვლილებები შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ გარემოში, არსებული კანონმდებლობის პირობებში, მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი ვალდებულებები გარემოს დაზიანების თვალსაზრისით.

8. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.

9. ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაცია

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2020 წლის 30 სექტემბერს.